

საზოგადოებრივი აქტივობების გეგმა

თბილისი
გთუნი



საზოგადოებრივი აქტივობების გეგმა

დამტკიცებულია:

რექტორის ბრძანება N 01-01/109 31.12.2018

1. საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის განაცხადი

საზოგადოების განვითარების დღევანდელი დონის, ადამიანის მოთხოვნებისა და მათი დაკმაყოფილების თანაფარდობის პირობებში, მოსახლეობის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხერხდება მხოლოდ სახელმწიფოსა და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მეშვეობით. შესაბამისად, გთუნი აცნობიერებს, რომ სწავლებისა და კვლევის გარდა, მისი არსებობის მესამე ფუნქციაა - წვლილის შეტანა ქვეყნის და საზოგადოების განვითარებაში.

ამ ფუნქციის რეალიზებისათვის გთუნიისთვის მნიშვნელოვანია:

- ობიექტურად შეფასდეს საკუთარი შესაძლებლობები და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მასშტაბები;
- განისაზღვროს გთუნიის საქმიანობის ასპექტებზე, ადამიანურ, მატერიალურ, ფინანსურ რესურსებზე და დაგროვილ გამოცდილებაზე დაფუძნებული კონტრიბუციის კონკრეტული მიმართულებანი;
- განახორციელოს მაღალი ხარისხის, რეალურ შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებები, მოიპოვოს და განამტკიცოს საზოგადოების ნდობა.

2. საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუციის ძირითადი მიმართულებანი

აღნიშნულის გათვალისწინებით, აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი და სტუდენტები შეთანხმდნენ იმ კონკრეტულ მიმართულებებზე და ღონისძიებებზე, რითიც გთუნი წვლილს შეიტანს საზოგადოების განვითარებაში, კერძოდ, ეს მიმართულებებია:

1. უწყვეტი განათლების პროგრამების განხორციელება
2. საექსპერტო და საკონსულტაციო პროექტების განხორციელება
3. სოციალური პროექტების განხორციელება
4. კულტურულ-შემეცნებითი, გარემოსდაცვითი და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის პროექტების განხორციელება.

3. უწყვეტი განათლების პროგრამების განხორციელება

უწყვეტი განათლება მოხალისეობრივი, თვითმოტივირებაზე დაფუძნებული განათლებაა, რომელიც სოციალურ ინკლუზიას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და პერსონალურ განვითარებას გულისხმობს. ეს არის მრავალფეროვანი და კომპლექსური საშუალება იმისთვის, რომ ადამიანმა უზრუნველყოს საკუთარი თავის რეალიზება და საზოგადოებაში თვითდამკვიდრება.

გთუნი აცხადებს მზაობას უზრუნველყოს სწავლის შესაძლებლობები საზოგადოების ფართო სპექტრის წარმომადგენლები „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ პროგრამების განხორციელებით. ხელი შეუწყოს მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას და ამ მიზნის რეალიზებისათვის განსაზღვრული აქვს:

1. მოამზადოს და საზოგადოებას შესთავაზოს უწყვეტი განათლების მაღალი ხარისხის პროგრამები/მოდულები/კურსები.

2. შეთავაზებული პროგრამები/მოდულები/ კურსები, გათვლილი უნდა იყოს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე, სხვადასხვა ასაკის, სოციალური ფენის პირებზე.
3. პროგრამები/მოდულები/ კურსები, უნდა ითვალისწინებდეს სამიზნე ჯგუფის პროფესიულ და პიროვნულ ინტერესებს, აგრეთვე ბაზრის მოთხოვნებს.
4. პროგრამები/მოდულები/ კურსები ორიენტირებული იუნდა იყოს როგორც კვალიფიკაციის არმქონე პირებზე (დამწყებთა კატეგორიაზე), ისე კვალიფიციურ კადრებზე.
5. საზოგადოებას შესთავაზოს სწავლების სხვადასხვა ფორმების და ხანგრძლივობის ღონისძიებები, მაგალითად მოკლევადიანი (15 დღეზე ნაკლები ხანგრძლივობის) ან გრძელვადიანი (15 დღეზე მეტი ხანგრძლივობის) კურსები, სადამოს საათებში სწავლება, დისტანციური სწავლება, ჰიბრიდული სწავლება და სხვა.
6. სწავლება-სწავლის პროცესში უზრუნველყოს მსმენელი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და სასწავლო მასალით (ბეჭდური ან/და ელექტრონული ფორმით).
7. სწავლის დასრულების შემდეგ გასცეს კურსდამთავრებულზე შესაბამისი სერტიფიკატი.

4. გთუნის შეთავაზებების გავრცელება

საზოგადოების ინფორმირების მიზნით გთუნი ინფორმაციას გაავრცელებს :

- ვებ-გვერდის მეშვეობით.
- პრესის, ინტერნეტის, სოციალური ქსელების საშუალებით.
- საინფორმაციო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების, პრეს-კონფერენციების ორგანიზებით .
- საინფორმაციო ბროშურების, ლიფლეტების მეშვეობით.

5. უწყვეტი განათლების პროგრამები-„სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“

უწყვეტი განათლება საზოგადოების დაინტერესებული წარმომადგენლებისათვის					
N	პროგრამები, მოდულები, კურსები	მიზობრივი ჯგუფი	ლექტორი /ტრენერი	საბუნებრივად სწავლებს	იფუნებრივად
1.	კომპიუტერული უნარები	პიროვნული განვითარების ან/და დასაქმების მსურველი	პროფ. თ. ჟვანია შ.კაპანაძე	✓	✓
2.	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	პიროვნული განვითარების ან/და დასაქმების მსურველი	პროფ.თ ჟვანია მ. მიქელაძე	✓	
3.	ინგლისური ენა: ▪ საწყისი A1 ▪ ელემენტარული A 2	პიროვნული განვითარების ან/და დასაქმების მსურველი	პროფ.ი.დიაკონიძე მ.მჭედლიშვილი	✓	

4.	რუსული ენა ▪ საწყისი A1 ▪ ელემენტარული A 2	პიროვნული განვითარების ან/და დასაქმების მსურველი	პროფ. მ.კალანდარიშვილი		✓
5.	გერმანული ენა ▪ საწყისი A1 ▪ ელემენტარული A 2	პიროვნული განვითარების ან/და გერმანიაში სწავლის მსურველი	ნ.კალმახელიძე		✓
6.	უძრავი ქონების შეფასება	ბიზნეს-სექტორი	სს ტერა ბანკის ექსპერტ-შემფასებელი პ.საქანია		✓
7.	პრაქტიკული მენეჯმენტი	სტარტაპერი	პროფ.ლ.ჩაგელიშვილი-აგლაძე		✓
8.	იდის დაგეგმვა და მართვა	დასაქმების მსურველი, სტარტაპერი	პროფ.ლ.ჩაგელიშვილი-აგლაძე		✓
9.	ექსპურსიის ორგანიზება	ზ/ს სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები	პროფ.ნ.კვარაცხელია		✓
10.	CV შედგენა	დასაქმების მსურველი	ასოც.პროფ.მ.თორია		✓
11.	კომუნიკაციების ტექნოლოგიები	შუა რგოლის მენეჯერი	პროფ.გ.მათიაშვილი	✓	
12.	გლობალური გამოწვევები და დესტინაციის მენეჯმენტის ამოცანები	ტურისტული ბიზნეს სექტორისთვის	პროფ.მ.უკლება		✓
13.	Module: Sustainable Destination Management	ინგოლშტატის უნივერსიტეტის (გერმანია) მაგისტრი	პროფ.მ.უკლება	✓	
	Sustainable Destination Development		პროფ.მ.უკლება	✓	
	ETIS -European Tourism Indicator System for Evaluation of Destination Sustainability		პროფ.მ.უკლება	✓	
14.	Module: Cross-Cultural Business Communication	ინგოლშტატის უნივერსიტეტის (გერმანია) მაგისტრი	პროფ.ი.დიაკონიძე	✓	
	Dimensions of Cross Cultural Communication		პროფ.ი.დიაკონიძე	✓	
	Intercultural Competence in Interpersonal Communication		პროფ.ი.დიაკონიძე	✓	
15.	Module: Modern Media and Society	ინგოლშტატის უნივერსიტეტის (გერმანია) მაგისტრი	პროფ. მ.ვეკუა	✓	
	Mass Communication as whole System		პროფ. მ.ვეკუა	✓	
	New Media and Impact on Society		პროფ. მ.ვეკუა	✓	
16.	პრაქტიკული მარკეტინგი	მცირე ბიზნესი	რ.დალაქიშვილი		✓
17.	ანტიკრიზისული მართვა	ბიზნეს-სექტორი	ლ.ჩაგელიშვილი		✓

18.	ოპერატორის ხელოვნება	თვითგანვითარების ან/და დასაქმების მსურველი.	ე.გიორგობიანი ლ.ზაინდურაშვილი.	✓	
19.	ელექტრონული მედიის მონტაჟი	სპეციფიკური ინტერესის ჯგუფი	გ.ებრალიძე		✓
20.	ფოტოხელოვნების სკოლა	ფოტოხელოვნების მოყვარული; დასაქმების მსურველი	ს.ედიშერაშვილი		✓
21.	კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია	პიროვნული განვითარების მსურველი	დ. ჩაგუნავა		✓
22.	შრომის სამართლებრივ ურთიერთობებში ახალგაზრდობის ჩაბმის სამართლებრივი საფუძველი	ზ/ს სკოლის მოსწავლეები	პროფ.რ შენგელია		✓
23.	მედიაცია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებში	სამართლის სპეციალობის კურსდამთავრებული	ასოც.პროფ. ნ.ფიცხელაური		✓
24.	ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა	ფართო საზოგადოება	ასოც.პროფ. ნ.ბოჭორიშვილი		✓
25.	არასრულწლოვანთა დანაშაულები და მათი პრევენცია	ზ/ს სკოლის მოსწავლეები	მ.ქუთათელაძე		✓
26.	შრომის ტექნიკური უსაფრთხოების პრობლემები	ნებისმიერი დაინტერესებული პირი	ლ.საჯაია		✓

უწყვეტი განათლების კურსები გთუნის საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის

	კურსები	მიზნობრივი ჯგუფი	კურსის ავტორი და ტრენერი	მიმდინარე დაგეგმილი	დასაგეგმი
1.	კომუნიკაციის პრობლემები და სასწავლო პროცესის მართვა	ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი	ჩ.ბუსტრა (ნიდერლანდები)	✓	✓
2.	EBSCO-ბაზებით სარგებლობა	აკადემიური პერსონალი; სტუდენტი	EBSCO-დ ოფიციალური წარმომადგენელი	✓	✓
3.	ინგლისური ენა	ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი; სტუდენტი;	British Council	✓	✓
4.	▪ Pre-Intermediate (B1) ▪ Intermediate (B2)		Imperial English Academy UK		✓
5.	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეფორმა	აკადემიური პერსონალი; სტუდენტი	ვ.ხუჭუა	✓	
6.	მეცნიერების მენეჯმენტი და სამეცნიერო ფონდები	აკადემიური პერსონალი;	ნ.ფიცხელაური		✓
7.	ჰიბრიდული-შერეული სწავლება (LMS MOODLE-პლატფორმაზე)	აკადემიური პერსონალი;	თ. ჟვანია		✓
8.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	აკადემიური პერსონალი;	მ.უკლება	✓	
9.	ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურა	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	ლ.ჩაგელიშვილი- აგლაძე	✓	
10.	ცვლილებების მართვა	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	დ. ვეკუა		✓

11.	ადამიანური რესურსების მართვა	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	მ.თორია		✓
12.	საზოგადოებასთან ურთიერთობა	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	ქ.ვაშაკიძე		✓
13.	შრომის უსაფრთხოება	პერსონალი	შრომის ინსპექციის წარმომადგენელი		✓
14.	პლაგიატი აღმოჩენის პროგრამები URKUND	აკადემიური პერსონალი; სტუდენტი	პოლონეთის ოფისის წარმომადგენელი. ბიბლიოთეკების გაერთიანების წარმომადგენელი. პროფ. თ.ჟვანია	✓	✓
15.	ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა	ადმინისტრაციული პერსონალი	ა.ვუდენბერგი (ნიდერლანდები)		✓

6. საექსპერტო და საკონსულტაციო პროექტები/ღონისძიებები

გთუნი გეგმავს მნიშვნელოვნად გაზარდოს საკუთარი როლი საექსპერტო და საკონსულტაციო პროექტების განხორციელების გზით. გაუზიაროს და გადასცეს საზოგადოებას გამოცდილება, ცოდნა და კვლევის შედეგები საზოგადოებისთვის. ამ მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი და დასაგეგმი აქტივობებია:

პროექტები/ღონისძიებები	განმახორციელებელი	მიმდინარე და დაგეგმილი	დასაგეგმი
1. საზოგადოების ფართო ფენების უფასო იურიდიული მომსახურება კლინიკის	სამართლის ფაკულტეტი; იურიდიული კლინიკა		✓
2. უფასო კონსულტაციები მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა; ბიზნესის, ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა	✓	
3. საექსპერტო კონსულტაციები ტურიზმის ბიზნეს სექტორისთვის	ბიზნესის მართვის, ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა	✓	✓
4. საექსპერტო კონსულტაციები ბიზნეს სექტორისთვის	ბიზნესის, ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა	✓	
5. „კარგი მმართველობა“, კონსულტაციები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის			✓
6. საექსპერტო კონსულტაციები საჯარო სექტორისთვის: <ul style="list-style-type: none"> ▪ ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ▪ ცვლილებების მენეჯმენტი 	ბიზნესის, ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა	✓	
7. საჯარო ლექციები და კონსულტაციები ევროპულ სამართალთან დაკავშირებით	სამართლის ფაკულტეტი; პროფ. რ.პაულინგი		✓
8. ეკოტურიზმი, ადგილობრივი მოსახლეობა და რეგიონული განვითარება	ბიზნესის მართვის კათედრა		✓
9. „გზა ევროინტეგრაციისაკენ“	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა	✓	

7. სოციალური პროექტები

ცნობილია, რომ ინდივიდის გარემოში არსებული სოციო-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები, სოციუმში არსებული სტრუქტურული უთანასწორობები მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ განვითარების პროცესზე და განსხვავებულ პოზიციაში აყენებენ ინდივიდებს. შესაბამისად, გთუნი აცნობიერებს, რომ საზოგადოებას, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში უნდა შესთავაზოს სოციალური პროექტები და ამით, წვლილი შეიტანოს მის განვითარებაში.

პროექტები/ღონისძიებები	განმახორციელებელი	მიმდინარე და დაგეგმილი	დასაგეგმი
გთუნის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საზოგადოებისთვის: <ul style="list-style-type: none"> ▪ ბიბლიოთეკა ▪ კომპიუტერული კლასები ▪ სპორტული დარბაზი ▪ დიდი საკონფერენციო დარბაზი ▪ მცირე საკონფერენციო დარბაზი ▪ სტადიონი ▪ კრიმინალისტიკის ლაბორატორია ▪ რადიო-ტელელაბორატორია ▪ სასწავლო ინკუბატორები 	სამეურნეო სამსახური განსაზღვრავს ხელმისაწვდომობის ფორმებს;		✓
საქველმოქმედო ღონისძიებები: <ul style="list-style-type: none"> ▪ ობოლი და მზრუნველობა-მოკლებული ბავშვების დასახმარებლად ▪ შშმ პირებისათვის ▪ სოციალურად დაუცველი პირებისათვის ▪ დონაცია სისხლის ბანკში 	ადმინისტრაცია, სტუდენტური თვითმმართველობა	✓	

8. კულტურულ-შემეცნებითი, გარემოსდაცვითი და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის პროექტები

პროექტები	განმახორციელებელი	მიმდინარე და დაგეგმილი	დასაგეგმი
ქართველი საზოგადო მოღვაწეების და ისტორიული პიროვნებებისადმი მიძღვნილი კონფერენციები	კათედრები; PR სამსახური	✓	
თანამედროვე ქართველ მწერლებსა და ხელოვანებთან შეხვედრებზე პედაგოგებისა და სკოლის მოსწავლეების მოწვევა	კათედრები; PR სამსახური	✓	
შემეცნებითი კონფერენცია: „მწვანე ეკონომიკა“	ბიზნესის მართვის კათედრა	✓	
„დედამიწის დღე“	სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან	✓	

	ურთიერთობისა და კარიერის გავნითარების განყოფილება; სტუდენტური თვითმმართველობა		
სამეცნიერო ფესტივალი	გთუნის ადმინისტრაცია, კათედრები	✓	
სპორტული შეჯიბრებები რ-ნის ახალგაზრდებსა და გთუნის სტუდენტებს შორის	ადმინისტრაცია, სტუდენტური თვითმმართველობა		✓
ფოტოკონკურსი	ჟურნალისტიკის კათედრა	✓	
სარეკლამო კლიპის კონკურსი	ჟურნალისტიკის კათედრა	✓	
„წიგნის დღე“	ადმინისტრაცია, სტუდენტური თვითმმართველობა		✓